ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 ოქტომბრის №01-06/15
მორიგი სხდომის დღის-წესრიგის პროექტი

1. ,,ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელი: საკრებულოს ფრაქცია
„ქართული ოცნება“-ს თავმჯდომარე: ლევან ვერძაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო საპროცედურო საკითხთა და
ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: ვაჟა აბულაძე

2. ელექტრონული პეტიციის განხილვის შედეგების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიშის მოსმენის თაობაზე.

მომხსენებელი: სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და
მშენებლობის სამსახურის უფროსი: გენადი ანანიძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო საპროცედურო საკითხთა და
ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: ვაჟა აბულაძე

3. ,,ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს №13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

მომხსენებელი: საკრებულოს სამანდატო საპროცედურო საკითხთა და
ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: ვაჟა აბულაძე

4. ,,ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2023 წელში განსახორციელებელი ღონისძიებათა დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: მერიის ეკონომიკური განვითარების
სამსახურის უფროსი: სულიკო ბოლქვაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე: ამირან წულუკიძე

5.ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სსიპ „საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი“-სათვის გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მომხსენებელი: მერიის ეკონომიკური განვითარების
სამსახურის უფროსი: სულიკო ბოლქვაძე
თანამომხსენებელი: საკრებულოს ქონების მართვის და
ბუნებრივი რესურსების საკითხების
კომისიის თავმჯდომარე: მერაბ ნაკაშიძე

6. სოციალურად დაუცველი ოჯახების რეგისტრაციისა და რაოდენობის თაობაზე სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ქედის სერვისცენტრის ინფორმაციის მოსმენის შესახებ.

მომხსენებელი: სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ქედის სერვისცენტრის უფროსი: ზურაბ ყადიძე

თანამომხსენებელი: საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: ოთარ ხარაძე

<u>პროექტი</u>

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება №--

2023 წლის -- ოქტომბერი

დაბა ქედა

,,ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო, **ადგენს:**

მუხლი 1.

,,ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს №14 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge 29/08/2017; სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.134.016222) შეტანილი იქნას ცვლილება:

1. დადგენილებით დამტკიცებული დანართი №2-ის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) საერთო სარგებლობის შიდა ინფრასტრუქტურის სამუშაოები (კიბეები, აივნები, ჭიშკარი, სადარბაზო, სადარბაზოს შესასვლელის გადახურვა, სადარბაზოს კარები, სადარბაზოს ფანჯრები, თაღები, საერთო სარგებლობაში მყოფი სარდაფები და სართულშუა ნაპრალების სამუშაოები); “

2. დადგენილებით დამტკიცებული დანართი №2-ის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ვ“ ქვეპუნქტი:

„ვ) გარე ფასადის სარემონტო სამუშაოები.“

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ამირან ცინცაძე**

განმარტებითი ბარათი

,,ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული აქტის (დადგენილება) პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია ნორმატიული აქტის პროექტის შესახებ:

ა.ა) ნორმატიული აქტის მიღების მიზეზი:

ნორმატიული აქტის მიღების მიზეზია ,,ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს №14 დადგენილების შესაბამისად ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების რეგისტრაციის პროცედურის გამარტივება.

ა.ბ) ნორმატიული აქტის მიღების მიზანი:

„ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის“ განხორციელების რეგულირება, რომელიც გულისხმობს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარებისა და შემდგომში ფინანსურად დამოუკიდებელ სუბიექტებად ჩამოყალიბების მიზნით, ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ სხვადასხვა ტიპის, მათ შორის, ფინანსურ მხარდაჭერასაც.

გ) ნორმატიული აქტის ძირითადი არსი:

ნორმატული აქტის მიღების მიზანია ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების პრაქტიკასთან შესაბამისობაში მოყვანა.

ბ) ნორმატიული აქტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) ნორმატიული აქტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

ნორმატიული აქტის მიღება არ გამოიწვევს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას

ბ.ბ) ნორმატიული აქტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

ნორმატიული აქტის მიღება გავლენას არ მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) ნორმატიული აქტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

ნორმატიული აქტის მიღება გავლენას მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

ნორმატიული აქტის მიღება არ წარმოშობს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

გ) ნორმატიული აქტის მიმართება საქართველოს სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) ნორმატიული აქტის მიმართება საქართველოს კანონმდებლობასთან და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებთან:

ნორმატიული აქტის არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და კანონქვემდებარე ნორმატიულ სამართლებრივ აქტებს.

დ) ნორმატიული აქტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიული დეპარტამენტის 2023 წლის 10 ოქტომბრის №GOV 1 23 00029225 სამართლებრივი კონსულტაცია.

დ.ა) ნორმატიული აქტის შემუშავებაში მონაწილე სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია (დაწესებულება), ექსპერტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ნორმატიული აქტის პროექტის შემუშავებაში აღნიშნულ სუბიექტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

დ.ბ) ნორმატიული აქტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება ნორმატიული აქტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ნორმატიული აქტის შემუშავებაში აღნიშნულ სუბიექტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

ე) ნორმატიული აქტის ავტორი:

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება.

ვ) ნორმატიული აქტის წარმდგენი:

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება“-ს თავმჯდომარე - ლევან ვერძაძე.

ზ) ნორმატიული აქტის ინიციატორი:

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება“.

GOV 1 23 00029225

10/10/2023

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიულმა დეპარტამენტმა განიხილა 2023 წლის 02 ოქტომბრის №95-95232751 წერილით სამართლებრივი კონსულტაციისთვის წარმოდგენილი ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს №14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“, რომელთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ სამართლებრივი ხასიათის შენიშვნები არ გაგვაჩნია.

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია
მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი
რევაზ ჯაველიძე

პროექტი

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №--

2023 წლის -- ოქტომბერი
დაბა ქედა

ელექტრონული პეტიციის განხილვის შედეგების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიშის მოსმენის თაობაზე

2023 წლის 17 მაისს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში რეგისტრირებული იქნა მოქალაქე ზვიად გოგიტიძის (პ/ნ 61008003272) მიერ ინიციირებული ელექტრონული სახის პეტიცია, რომელიც ითვალისწინებს ქედის მუნიციპალიტეტის მერიის მიმდებარედ, ქედის ცენტრის ხიდიდან მარჯვნივ, გზის ზედა ნაწილში ბანერის განთავსებას წარწერით ,,მამული, ენა, სარწმუნოება“ ილია ჭავჭავაძის გამოსახულებასთან ერთად.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 86-ე მუხლის მე-11 პუნქტისა და ,,ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 მაისის №6 დადგენილებით დამტკიცებული დანართის 117-ე მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 მაისის №01-07/07 ბიუროს სხდომის გადაწყვეტილებით პეტიცია განსახილველად გადაიგზავნა ქედის მუნიციპალიტეტის მერიაში (მერთან).

პეტიცია განხილული იქნა მერიის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების მიერ და შედეგების შესახებ ინფორმაცია (მერის 2023 წლის 18 ოქტომბრის №94-94232919 წერილი, შემოსული კორესპოდენციის საკრებულოს აპარატში რეგისტრაციის №12-95232911-95; 18/10/2023) მოწოდებული იქნა საკრებულოსათვის.

,,ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 3 მაისის №6 დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტისა და 117-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. ცნობად იქნეს მიღებული ელექტრონული სახით წარმოდგენილი პეტიციის განხილვის შედეგების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში, თანახმად დანართი №1-სა.

2. დანართი №1 წარმოადგენს განკარგულების განუყოფელ ნაწილს.

3. მიღებული განკარგულების შესახებ ეცნობოს ქედის მუნიციპალიტეტის მერს (როლანდი ბერიძე).

4. განკარგულების დაინტერესებული მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ამირან ცინცაძე**

დანართი №1

ელექტრონული სახით წარმოდგენილი პეტიციის განხილვის შედეგების შესახებ

ქედის მუნიციპალიტეტის მერის გადაწყვეტილებით (2023 წლის 18 ოქტომბრის №94-94232919 წერილი) ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ კუჭულაში მცხოვრები მოქალაქე ზვიად გოგიტიძის მიერ ინიციირებული პეტიცია - დაბა ქედაში დ. აღმაშენებლის ქუჩაზე, ხიდიდან მარჯვნივ მოსახვევის ზედა ნაწილში „მამული, ენა, სარწმუნოება“ ბანერის განთავსებისთვის საჭირო თანხები გათვალისწინებული იქნება ქედის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში.

<u>პროექტი</u>

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

2023 წლის -- ოქტომბერი

დაბა ქედა

,,ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს №13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (დადგენილება) პროექტზე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 103-ე, 106^1-ე და 106^5-ე მუხლების შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. დაიწყოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება ,,ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს №13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (დადგენილება) პროექტზე.
2. განსახილველ საკითხთან მიმართებაში საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე უფლებამოსილ ორგანოდ განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია (თავმჯდომარე - ვაჟა აბულაძე).
3. განსახილველ საკითხზე ზეპირი მოსმენის შესახებ სხდომის მოწვევის თარიღად განისაზღვროს 2023 წლის -- ნოემბერი.
4. ნორმატიულ ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (დადგენილება) გამოცემის თარიღად განისაზღვროს 2023 წლის -- ნოემბერი.
5. წინამდებარე განკარგულება წარმოადგენს ადმინისტრაციული წარმოების საკითხთან დაკავშირებით მიღებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და იგი არ ექვემდებარება ცალკე გასაჩივრებას.
6. წინამდებარე განკარგულება საჯაროდ გაცნობის მიზნით გამოქვეყნდეს ქედის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე (www.keda.gov.ge).
7. განკარგულების ქედის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.
8. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ამირან ცინცაძე**

ცნობა

საჯარო ადმინისტრაციული წარმოების შესახებ

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოში (მის. დაბა ქედა მერაბ კოსტავას ქუჩა №3, ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მეორე სართული) მიმდინარეობს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება ,,ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს №13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (დადგენილება) პროექტზე.

საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებას ახორციელებს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია (თავმჯდომარე - ვაჟა აბულაძე). (მის: დაბა ქედა მ. კოსტავას ქ.№3, ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მეორე სართული;).

დაინტერესებულ პირებს განსახილველ საკითხთან დაკავშირებით მოსაზრების წარდგენა შეუძლიათ საჯარო ადმინისტრაციული წარმოების შესახებ ცნობის გამოქვეყნებიდან 2023 წლის -- ნოემბერს დღის 18:00 საათამდე სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიაში.

განსახილველ საკითხზე ზეპირი მოსმენის შესახებ სხდომა შედგება 2023 წლის -- ნოემბერს დღის 16:00 საათზე. (მის: დაბა ქედა მ. კოსტავას ქ.№3, ადგილობრივი თვითმართველობის ადმინისტრაციული შენობა, მეორე სართული; სხდომათა დარბაზი).

,,ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს №13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ (დადგენილება) გამოცემის თარიღად განსაზღვრულია 2023 წლის --ნოემბერი.

<u>პროექტი</u>

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება №--

2023 წლის -- ოქტომბერი

დაბა ქედა

,,ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს №13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო, **ადგენს:**

მუხლი 1.

,,ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს №13 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge 29/08/2017; სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.134.016221) შეტანილი იქნას ცვლილება:

1. დადგენილებით დამტკიცებული დებულების II თავის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ 2. აპარატის შემადგენლობაში შედის ასევე:

ა) პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საკრებულოს კომისიებთან ურთიერთობის საკითხებში;

ბ) პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში. “

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ამირან ცინცაძე**

განმარტებითი ბარათი

,,ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს №13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული აქტის (დადგენილება) პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია ნორმატიული აქტის პროექტის შესახებ:

ა.ა) ნორმატიული აქტის მიღების მიზეზი:

ნორმატიული აქტის მიღების მიზეზია ,,ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს №13 დადგენილების ცვლილება საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხის ცვლილებიდან გამომდინარე.

ა.ბ) ნორმატიული აქტის მიღების მიზანი:

,,ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს №13 დადგენილების II თავის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის ახლებურად ჩამოყალიბება, კერძოდ:

1. დადგენილებით დამტკიცებული დებულების II თავის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ 2. აპარატის შემადგენლობაში შედის ასევე:

ა) პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საკრებულოს კომისიებთან ურთიერთობის საკითხებში;

ბ) პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში. “

გ) ნორმატიული აქტის ძირითადი არსი:

ნორმატული აქტის მიღების ძირითადი არსია ,,ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს №13 დადგენილების მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების პრაქტიკასთან შესაბამისობაში მოყვანა.

ბ) ნორმატიული აქტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) ნორმატიული აქტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

ნორმატიული აქტის მიღება არ გამოიწვევს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას

ბ.ბ) ნორმატიული აქტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

ნორმატიული აქტის მიღება გავლენას არ მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) ნორმატიული აქტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

ნორმატიული აქტის მიღება გავლენას მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

ნორმატიული აქტის მიღება არ წარმოშობს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

გ) ნორმატიული აქტის მიმართება საქართველოს სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) ნორმატიული აქტის მიმართება საქართველოს კანონმდებლობასთან და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებთან:

ნორმატიული აქტის არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და კანონქვემდებარე ნორმატიულ სამართლებრივ აქტებს.

დ) ნორმატიული აქტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) ნორმატიული აქტის შემუშავებაში მონაწილე სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია (დაწესებულება), ექსპერტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ნორმატიული აქტის პროექტის შემუშავებაში აღნიშნულ სუბიექტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

დ.ბ) ნორმატიული აქტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება ნორმატიული აქტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ნორმატიული აქტის შემუშავებაში აღნიშნულ სუბიექტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

ე) ნორმატიული აქტის ავტორი:

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება.

ვ) ნორმატიული აქტის წარმდგენი:

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი მუხრან სალაძე.

ზ) ნორმატიული აქტის ინიციატორი:

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - ამირან ცინცაძე.

<u>პროექტი</u>

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

2023 წლის -- ოქტომბერი
დაბა ქედა

ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2023 წელში განსახორციელებელი ღონისძიებათა დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2019 წლის 28 თებერვლის №2 დადგენილების, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში თანხის გამოყოფის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2023 წლის 24 თებერვლის №17 განკარგულებისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 61-ე მუხლის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. დამტკიცდეს ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2023 წელში განსახორციელებელი ღონისძიებები, თანახმად დანართი №1-სა.
2. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ქედის მუნიციპალიტეტის მერიამ უზრუნველყოს პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება.
3. პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებაზე კონტროლი უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ (კომისიის თავმჯდომარე - ამირან წულუკიძე).

4. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2023 წელში განსახორციელებელი ღონისძიებათა დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 31 მარტის №გ-95. 95230903 განკარგულება.

5. განკარგულების დაინტერესებული მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა მუხრან სალაძემ.

6. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით დაინტერესებული მხარის მიერ მისი ძალაში შესვლის დღიდან ერთი თვის ვადაში, ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).

7. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ამირან ცინცაძე**

დანართი №1

ქედის მუნიციპალიტეტი
2023 წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამა

N	ტერიტორიული ორგანო	სოფელი	მოსახლეობის რაოდენობა	გამოყოფილი თანხა	პროექტის დასახელება	პროექტის ღირებულება	შენიშვნა
1	დანდალო	დანდალო	347	12000	გარე განათების მოწყობა	12000	
2		ბალაძეები	116	10000	გარე განათების მოწყობა	10000	
3		გოგიაშვილები	194	10000	გარე განათების მოწყობა	10000	
4		მოსიაშვილები	169	10000	გარე განათების მოწყობა	10000	
5		ტაკიძეები	186	10000	გარე განათების მოწყობა	10000	
6		ხარაულა	639	16000	გარე განათების მოწყობა	8000	
					მზა ბეტონის შეძენა	8000	
7		ჯალაბაშვილები	310	12000	გარე განათების მოწყობა	12000	
			ჯამი	**80000**		**80000**	
8	ცხმორისი	ცხმორისი	600	16000	გარე განათების მოწყობა	16000	
9		ახო	594	16000	გარე განათების მოწყობა	16000	
10		გეგელიძეები	428	16000	გარე განათების მოწყობა	16000	
11		გობრონეთი	251	12000	მზა ბეტონის შეძენა	12000	
12		კოკოტაური	545	16000	მზა ბეტონის შეძენა	16000	
13		ჩეტკიძეები	187	10000	გარე განათების მოწყობა	10000	
			ჯამი	**86000**		**86000**	
14	წონიარისი	წონიარისი	499	16000	გარე განათების მოწყობა	16000	
15		აბუქეთა	279	12000	მზა ბეტონის შეძენა	12000	
16		ვარჯანისი	185	10000	მზა ბეტონის შეძენა	10000	
17		კანტაური	76	10000	მზა ბეტონის შეძენა	10000	
18		საბადური	57	10000	მზა ბეტონის შეძენა	10000	
19		ტიბეთა	154	10000	მზა ბეტონის შეძენა	10000	
20		სასადილოყელი	17	10000	მზა ბეტონის შეძენა	10000	
			ჯამი	**78000**		**78000**	
21	ზვარე	ზვარე	201	12000	მზა ბეტონის შეძენა	12000	
22		ვაიო	409	16000	მზა ბეტონის შეძენა	16000	
23		ზესოფელი	205	12000	გარე განათების მოწყობა	12000	
24		კვაშტა	279	12000	გარე განათების მოწყობა	12000	
25		სირაბიძეები	252	12000	მზა ბეტონის შეძენა	12000	
			ჯამი	**64000**		**64000**	
26	დაბა ქედა	არსენაული	89	10000	გარე განათების მოწყობა	10000	
27		აქუცა	262	12000	გარე განათების მოწყობა	12000	
28		გულები	235	12000	გარე განათების მოწყობა	12000	
29		ზენდიდი	297	12000	გარე განათების მოწყობა	10080	
					მზა ბეტონის შეძენა	1920	
30		კორომხეთი	160	10000	გარე განათების მოწყობა	10000	
31		ორცვა	232	12000	მზა ბეტონის შეძენა	12000	
32		ქედა	149	10000	მზა ბეტონის შეძენა	10000	
33		შევაბური	89	10000	გარე განათების მოწყობა	10000	
34		ცხემნა	156	10000	გარე განათების მოწყობა	10000	
35		ძენწმანი	197	10000	გარე განათების მოწყობა	10000	
36		ხუნკუდა	122	10000	გარე განათების მოწყობა	3400	
					მზა ბეტონის შეძენა	6600	
			ჯამი	**118000**		**118000**	
37	პ/მაისი	პ/მაისი	525	16000	მზა ბეტონის შეძენა	11750	
					გარე განათების მოწყობა	4250	
38		ზედა აგარა	106	10000	მზა ბეტონის შეძენა	10000	
39		კოლოტაური	473	16000	გარე განათების მოწყობა	11200	
					მზა ბეტონის შეძენა	4800	
40		ქვედა აგარა	109	10000	მზა ბეტონის შეძენა	10000	
			ჯამი	**52000**		**52000**	
41	მახუნცეთი	ქვ/მახუნცეთი	439	16000	მზა ბეტონის შეძენა	5280	
					გარე განათების მოწყობა	10720	
42		ზედა ბზუბზუ	306	12000	გარე განათების მოწყობა	12000	
43		ზ/მახუნცეთი	203	12000	მზა ბეტონის შეძენა	12000	
44		ზუნდაგა	299	12000	გარე განათების მოწყობა	12000	
45		ქვედა ბზუბზუ	261	12000	გარე განათების მოწყობა	12000	
46		ქოსოფელი	72	10000	მზა ბეტონის შეძენა	2880	
					გარე განათების მოწყობა	7120	

47		მილისი	123	10000	მზა ბეტონის შეძენა	10000	
48		ნამლისევი	158	10000	გარე განათების მოწყობა	10000	
49		უჩხითი	260	12000	მზა ბეტონის შეძენა	12000	
			ჯამი	**106000**		**106000**	
50	დოლოგანი	დოლოგანი	417	16000	გარე განათების მოწყობა	8000	
					მზა ბეტონის შეძენა	8000	
51		ჭალახმელა	162	10000	გარე განათების მოწყობა	10000	
52		ჭინკაძეები	202	12000	გარე განათების მოწყობა	12000	
			ჯამი	**38000**		**38000**	
53	ოქტომბერი	ოქტომბერი	247	12000	მზა ბეტონის შეძენა	12000	
54		აგოთა	122	10000	მზა ბეტონის შეძენა	10000	
55		გოგინიძეები	95	10000	მზა ბეტონის შეძენა	10000	
56		კუჭულა	201	12000	გარე განათების მოწყობა	12000	
57		მეძიბნა	188	10000	მზა ბეტონის შეძენა	10000	
			ჯამი	**54000**		**54000**	
58	მერისი	მერისი	300	12000	გარე განათების მოწყობა	12000	
59		გარეტყე	89	10000	სოფლის სახლისათვის ინვენტარის შეძენა	10000	
60		გუნდაური	218	12000	გარე განათების მოწყობა	12000	
61		ინაშარიძეები	200	10000	გარე განათების მოწყობა	10000	
62		ნამონასტრევი	60	10000	მზა ბეტონის შეძენა	10000	
63		სილიბაური	117	10000	მზა ბეტონის შეძენა	10000	
64		სიხალიძეები	148	10000	გარე განათების მოწყობა	10000	
			ჯამი	**74000**		**74000**	
			სულ ჯამი	**750000**		**750000**	

ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2023 წელში განსახორციელებელი ღონისძიებათა დამტკიცების თაობაზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინდივიდუალური აქტის (განკარგულება) პროექტის განმარტებითი ბარათი

ა) ზოგადი ინფორმაცია ინდივიდუალური აქტის პროექტის შესახებ:

ა.ა) ინდივიდუალური აქტის მიღების მიზეზი:

ინდივიდუალური აქტის მიღების მიზეზია სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში არსებულ ღონისძებათა ნუსხაში ცვლილების შეტანა, კერძოდ ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ გარეტყეში დაგეგმილი სოფლის სახლის პირველი სართულის მოწყობის ნაცვლად სოფლის სახლის საჭიროებისათვის ინვენტარის შეძენა.

ა.ბ) ინდივიდუალური აქტის მიღების მიზანი:

ქედის მუნიციპალიტეის ტერიტორიაზე სოფლის მხარდაჭერის პროგრამის სამართლებრივი აქტის დანართის ახლებურად ჩამოყალიბება, ხოლო 2023 წლის 31 მარტის №-95-9523090 განკარგულების ძალადაკარგულად გამოცხადება.

ა.გ) ინდივიდუალური აქტის ძირითადი არსი:

როგორც მოგეხსენებათ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 31 მარტის №-95-9523090 განკარგულებით დამტკიცებულია მუნიციპალიტეტის სოფლებში მოსახლეობის საერთო კრებებზე მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე შედგენილი სოფლის მხარდაჭერის პროგრამა.

დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის 63 სოფელში პროგრამის შესაბამისად განხორციელდა სახელმწიფო შესყიდვები. სოფელ გარეტყის მოსახლეობა მოითხოვდა ახლადაშენებული სოფლის სახლის პირველი სართულის მოწყობას, რაც ვერ შესრულდა, ვინაიდან საპროექტო და საინჟინრო კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ტერიტორიული დახრილობის გამო შეუძლებელია მიწისმოჭრა და ტერიტორიის ხელოვნურად მოსწორება, რადგან საფრთხე შეექმნება შენობის მდგრადობს. ამიტომ სოფლის მოსახლეობამ მოგვმართა თხოვნით პროგრამით გამოყოფილი თანხით შეძენილი იქნას სოფლის სახლის საჭიროებისათვის ინვენტარი, რასაც ესაჭიროება პროგრამაში ცვლილების განხორციელება.

წარმოდგენილი ინდივიდუალური აქტის შესაბამისად ხდება ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს წარდგინებით ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებათა ჩამონათვალში ცვლილების შეტანა ზემოთ განმარტებული მიზეზის გამო, პროგრამის ახლებურად ჩამოყალიბებული დანართი განკარგულების პროექტს თან ერთვის.

ბ) ინდივიდუალური აქტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) ინდივიდუალური აქტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტი 750 000 ლარის ფარგლებში.

ბ.ბ) ინდივიდუალური აქტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

ინდივიდუალური აქტის მიღება გავლენას მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე ზრდის თვალსაზრისით, ვინაიდან მუნიციპალიტეტს „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გამოეყო 750 000 ლარს ოდენობით. რომლითაც განხორციელდება ადგილობრივი მნიშვნელობის ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობა, რეაბილიტაცია ან/და კეთილმოწყობა, საერთო სარგებლობის შენობების აღჭურვა, ან/და გრძელვადიანი სარგებლობის ტექნიკის შესყიდვა-აღჭურვა.

ბ.გ) ინდივიდუალური აქტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

ინდივიდუალური აქტის მიღება გავლენას მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე, კერძოდ 750 000 ლარს ფარგლებში.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

ინდივიდუალური აქტის მიღება არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

გ) ინდივიდუალური აქტის მიმართება საქართველოს კანონმდებლობასთან და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებთან:

ინდივიდუალური აქტის არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და კანონქვემდებარე ნორმატიულ სამართლებრივ აქტებს.

დ) ინდივიდუალური აქტის პროექტის ავტორი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება.

ე) ინდივიდუალური აქტის პროექტის წარმდგენი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი - სულიკო ბოლქვაძე.

ვ) ინდივიდუალური აქტის ინიციატორი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერი - როლანდი ბერიძე.

<u>**პროექტი**</u>

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

2023 წლის -- ოქტომბერი
დაბა ქედა

ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სსიპ „საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი“-სათვის გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-4, მე-5 და მე-6 პუნქტებისა და ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილებით დამტკიცებული 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-4, მე-5 პუნქტებისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 61-ე მუხლის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. მიეცეს თანხმობა ქედის მუნიციპალიტეტის მერს (როლანდი ბერიძე) ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, დაბა ქედაში მდებარე 677 კვ. მეტრი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე არსებული №1 საერთო ფართით 147,96 კვ. მეტრი შენობა-ნაგებობის (ს/კ:21.03.33.499; რომლის საბალანსო ღირებულება დღეის მდგომარეობით შეადგენს 340976,80 (სამას ორმოცი ათას ცხრას სამოცდათექვსმეტი ლარი და ოთხმოცი თეთრი) ლარს) სსიპ „საგანგებო

სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი“- სთვის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, მისი არსებობის ვადით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე.

2. მიღებული განკარგულების შესახებ ეცნობოს ქედის მუნიციპალიტეტის მერს.

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „„ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირიგანკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სსიპ „საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი“-სათვის გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქედის მუნციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 სექტემბრის №გ-95.95232723 განკარგულება.

4. განკარგულების დაინტერესებული მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.

5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).

6. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ქედის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ამირან ცინცაძე**

განმარტებითი ბარათი

ინფორმაცია სამართლებრივი აქტის პროექტის შესახებ

ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სსიპ „საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი“-სათვის გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ
ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინდივიდუალური აქტის - განკარგულების პროექტის შესახებ.

ა) ზოგადი ინფორმაცია ინდივიდუალური აქტის პროექტის შესახებ:

ა.ა) ინდივიდუალური აქტის მიღების მიზეზი:

მიმდინარე წლის 18 სექტემბერს სსიპ „საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი“-მა მიმართა ქედის მუნიციპალიტეტის მერიას (წერილი N-EMSC 7 23 00980241) რომლითაც მოითხოვა დაბა ქედაში, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული (ს/კ 21.03.33.499) 677 კვ. მეტრი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე არსებული შენობა-ნაგებობის (საერთო ფართი 147,96 კვ. მეტრი) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობის უფლებით, მისი არსებობის ვადით გადაცემა, შემდგომში იქ სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადის განთავსების მიზნით. რომლის საბალანსო ღირებულება შეადგენდა 333976,80 (სამასოცდაცამმეტიათას ცხრასსამოცდათექვსმეტი ლარი და 80 თეთრი) ლარს.

აღნიშნული ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობის უფლებით, მისი არსებობის ვადით გადაცემაზე მიღებულია ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობა (2023 წლის 29 სექტემბრის განკარგულება N**გ-95. 95232723)**.

მაგრამ აღნიშნული შენობა-ნაგებობის ელექტროქსელში ჩართვა მოხდა საკრებულოს მიერ განკარგულების მიღების შემდგომ, ამიტომ საჭიროა საბალანსო ღირებულებას დაემატოს ქსელში ჩართვის ღირებულება - 7000 (შვიდიათასი) ლარი და ქონების გადაცემა მოხდეს სრული ღირებულებით, რომლის ჯამი დღეის მდგომარეობით შეადგენს 340976,80 (სამასორმოციათასცხრაასსამოცდათექვსმეტი ლარი და 80 თეთრი) ლარს. გამომდინარე აქედან, ქონების გაზრდილი საბალანსო ღირებულებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობის უფლებით, მისი არსებობის ვადით გადაცემაზე საჭიროა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობა.

აქედან გამომდინარე აღმასრულებელმა ორგანომ შესაბამისი მოთხოვნით, სამართლებრივი აქტის - საკრებულოს განკარგულების პროექტით და თანდართული საქმის მასალებით განმეორებით მიმართა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

ა.ბ) ინდივიდუალური აქტის მიღების მიზანი:

ინდივიდუალური აქტის მიღების მიზანია საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" და ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესებისა დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების დაწესებულ მოთხოვნების შესაბამისად ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინდივიდუალური აქტის მიღება. რომელის მიღებაც უზრუნველყოფს ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ ქონების გადაცემის პროცედურების სამართლებრივ რეგულაციას.

ა.გ) ინდივიდუალური აქტის ძირითადი არსი:

წარმოდგენილი ინდივიდუალური აქტის ძირითად არს წარმოადგენს ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, დაბა ქედაში მდებარე 677 კვ. მეტრი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე არსებული №1 საერთო ფართით 147,96 კვ. მეტრი შენობა-ნაგებობის (ს/კ:21.03.33.499; რომლის საბალანსო ღირებულება დღეის მდგომარეობით შეადგენს 340976,80 (სამასორმოციათასცხრაასსამოცდათექვსმეტი ლარი და 80 თეთრი) ლარს. სსიპ „საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი"-სათვის, გადაცემაზე ქედის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემა, რათა ქედის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელმა ორგანომ საკრებულოს თანხმობის შემდგომ განახორციელოს აღნიშნული ქონების სსიპ „საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი"-სათვის, პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, მისი არსებობის ვადით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის შესახებ შესაბამისი ინდივიდუალურ სამართლებრივი აქტის (ბრძანება) მომზადება.

ა.დ) ინდივიდუალური აქტის მოკლე ვადებში მიღების (გამოცემის) დასაბუთება:

წარმოდგენილი ინდივიდუალური აქტის მიღება უნდა განხორციელდეს შემჭიდროვებულ ვადებში რათა მუნიციპალიტეტის აღმასრულებელმა ორგანომ შეძლოს დროულად აღნიშნული საკითხის სამართლებრივი მოწესრიგება.

ბ) პროექტის მიღებით გამოწვეული საფინანსო ეკონომიკური შედეგების გაანგარიშება:

ბ.ა) პროექტის დაფინანსების წყარო:

ინდივიდუალური აქტის მიღება არ გამოიწვევს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

ინდივიდუალური აქტის მიღება გავლენას არ მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) ინდივიდუალური აქტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

ინდივიდუალური აქტის მიღება გავლენას არ მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

ინდივიდუალური აქტის მიღება არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

გ) ინდივიდუალური აქტის მიმართება საქართველოს კანონმდებლობასთან და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებთან:

ინდივიდუალური აქტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და კანონქვემდებარე ნორმატიულ სამართლებრივ აქტებს.

დ) ინდივიდუალური აქტის პროექტის ავტორი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება.

ე) ინდივიდუალური აქტის პროექტის წარმდგენი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი სულიკო ბოლქვაძე.

ვ) ინდივიდუალური აქტის ინიციატორი:

ქედის მუნიციპალიტეტის მერი.

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 882023836058 - 10/08/2023 13:55:11

მომზადების თარიღი
16/08/2023 15:09:44

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი
ქედა	დაბა ქედა		
21	**03**	**33**	**499**

მისამართი: მუნიციპალიტეტი ქედა , დაბა ქედა

ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება
ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
დაზუსტებული ფართობი: 677.00 კვ.მ.
ნაკვეთის წინა ნომერი: **21.03.33.494;**
შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: N1 საერთო ფართი 147.96 კვ.მ.

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882023836058 , თარიღი 10/08/2023 13:55:11
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 16/08/2023

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- ქედის მუნიციპალიტეტის მერია N94-942228526 , დამოწმების თარიღი:12/10/2022 , ქედის მუნიციპალიტეტის მერია
- ბრძანება N1/1-4428 , დამოწმების თარიღი:05/08/2022 ,სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო

მესაკუთრეები:
ქედის მუნიციპალიტეტი, ID ნომერი:246762089

მესაკუთრე:
ქედის მუნიციპალიტეტი

აღწერა:

იპოთეკა

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

ვალდებულება

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე www.napr.gov.ge, ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ–გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 2 405405
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge

საკადასტრო გეგმა

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

საკადასტრო კოდი:	**21.03.33.499**	ნაკვეთის დანიშნულება:	**არასასოფლო სამეურნეო**
განცხადების ნომერი:	**882023836058**	ფართობი:	**677 კვ.მ (WGS 84 / UTM zone 38N)** **677 კვ.მ (WGS 84 / UTM zone 37N)**
მომზადების თარიღი:	**16/08/2023**		



კოორდინატთა სისტემა: WGS 84 / UTM zone 37N

მასშტაბი 1:300



**სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა
და გადაუდებელი დახმარების ცენტრი**

121 აკაკი წერეთლის გამზირი
0119 თბილისი, საქართველო
+995 591 12 31 23
emscinfo@moh.gov.ge

18 სექტემბერი 2023

EMSC 7 23 00980241

**ქედას მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ როლანდ ბერიძეს**

ბატონო როლანდ,

როგორც მოგეხსენებათ, ქედას მუნიციპალიტეტის სარგებლობაში გახლავთ 677 კვ.მ ფართობის არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული შენობა-ნაგებობა N1 (საერთო ფართია 147.96 კვ.მ), რომლის მახასიათებელია: მუნიციპალიტეტი ქედა, დაბა ქედა (ს/კ 21.03.33.499). გთხოვთ, აღნიშნული მიწის ფართობი და მასზე არსებული შენობა-ნაგებობა გადმოსცეთ სსიპ - საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრს, არსებობის ვადით, უსასყიდლო უზუფრუქტით, სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადის განთავსების მიზნით.

პატივისცემით,

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

დირექტორი
ალექსანდრე კუტიბაშვილი

სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში მოქალაქეების რეგისტრაციის და დახმარების მიმღებთა რაოდენობის შესახებ

მოგახსენებთ, რომ სერვის ცენტრის ბაზაში სულ დარეგისტრირებულია 3407ოჯახი. მათ შორის:

· 0-დან 30 000 -მდე - 111

· 30 001 – 57 000 – 380

· 57 001 – 60 000 – 68

· 60 001 – 65 000 – 107

· 65 001 – 100 000 -1250

· 100 001 – 200 000 – 1336

· 200 001-დან - 155

აქედან დაახლოებით 1916 ოჯახი არის მიზნობრივი სოციალური დახმარების მიმღები.

სერვის ცენტრში ყოველდღიურად შემოდის ბაზაში დასარეგისტრირებლად 5-10 განაცხადი. განცხადების შემოტანის უფლება აქვს ოჯახის ნებისმიერ სრულწლოვან წევრს. სერვის ცენტრში განცხადების შემოსვლიდან 1 თვის ვადაში სოციალური აგენტი ახორციელებს ვიზიტს ოჯახში შემოწმების მიზნით. დეკლარაციის შევსებიდან 1 თვის ვადაში ითვლება პროგრამულად და ისახება ბაზაში სარეიტინგო ქულა.

თუ ოჯახის სარეიტინგო ქულა არ გადააჭარბებს 30 000-ს, ოჯახის თითოეულ წევრს ენიშნება 60-60 ლარი. ე.ი 5 სულიან ოჯახს 5*60=300ლ. გარდა ამისა, თუ ოჯახს ყავს 16 წლამდე ბავშვი, ოჯახი დამატებით მიიღებს კიდევ 200 ლარს.

თუ ოჯახის სარეიტინგო ქულა შეადგენს 30 000 ქულიდან 57 000 ქულამდე, მაშინ ოჯახის თითოეულ წევრს ენიშნება სოციალური დახმარება 50 ლარის ოდენობით. 57 000 - დან 60 000 -მდე ოჯახის თითოეულ წევრზე დახმარება 40 ლარია, ხოლო 60 000 დან 65 000 ოჯახის თითოეული წევრი მიიღებს 30 ლარს.

თუ ოჯახის სარეიტინგო ქულა იქნება 65 000 დან 120 000 ფარგლებში და ოჯახში არის 16 წელს მიუღწეველი ბავშვი, ოჯახს დაენიშნება ყოველთვიური 200 ლარიანი ფულადი დახმარება ბავშვის 16 წლის შესრულებამდე.

ოჯახის ხელმეორედ გადამოწმება ხდება ოჯახის სრულწლოვანი წევრის სერვის ცენტრში შემოტანილი განაცხადის ან სათაო ოფისის მიერ გადმოგზავნილი სიის საფუძველზე. დარეგისტრირებული ოჯახების ხელმეორედ გადამოწმება შეიძლება დარეგისტრირებიდან 1 წლის გასვლის შემდეგ. 1 წლის გასვლამდე განმეორებითი რეგისტრაცია შეიძლება ოჯახში დემოგრაფიული ცვლილების, შემოსავლის წყაროს

დაკარგვის, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მინიჭების, საცხოვრებელი მისამართის შეცვლის საფუძველზე, ან 2015 წლის 22 მაისის N 01-14/ნ ბრძანებაში მითითებული დიაგნოზის მიხედვით შევსებული ფორმა N100-ის საფუძველზე.

სერვის ცენტრში ოჯახის დარეგისტრირებისას არ აქვს მნიშვნელობა ოჯახი ან ოჯახის რომელიმე პირი სად არის დარეგისტრირებული, მნიშვნელობა ენიჭება მხოლოდ პიროვნების ფაქტობრივ საცხოვრებელ ადგილს.

დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნობრივი პროგრამის მიხედვით ოჯახები, რომლებსაც ჰყავთ მცირეწლოვანი შვილები და ერთ-ერთ მშობელს აქვს მაღალმთიანობის სტატუსი და ცხოვრობს მაღალმთიან დასახლებაში, აქვს უფლება მიიღოს ფულადი დახმარება 100 ლარი პირველ და მეორე ბავშვზე 1 წლის შესრულებამდე. ხოლო მე-3 და შემდგომ ბავშზე კი 200 ლარი 2 წლის ვადით.

300 ლარიან დასაქმების პროგრამაში შედიან ისეთი ოჯახები, რომლებსაც სოციალური პროგრამის მიხედვით მინიჭებული აქვთ 65 000-მდე ქულა და ღებულობენ სოციალურ დახმარებას.

სოციალური დასაქმების პროგრამაში არიან ისეთი ოჯახებიც, რომლებსაც პროგრამის მიერ მინიჭებული აქვთ 65 000 – 120 000 -მდე ქულა და ყავთ 16 წლამდე შვილები და ღებულობენ დახმარებას.